

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

შპს ოპტიმალ გრუპ + “-ის განცხადების საფუძველზე
სსიპ - კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 4 მარტის
N32 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული საქმის მოკვლევის თაობაზე

(„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნათა დარღვევის
ფაქტზე)

აღწერილობითი ნაწილი

I. პროცესუალური გარემოებები

1. 2015 წლის 4 თებერვალს სსიპ - კონკურენციის სააგენტოში (შემდგომში - სააგენტო) წარმოდგენილ იქნა შპს „ოპტიმალ გრუპ +“-ის განცხადება (რეგ. N01/80) - სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე ორგანიზაციების მხრიდან „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის სავარაუდო დარღვევის ფაქტზე. ამასთან, განმცხადებელი მოითხოვს, სააგენტომ, საკითხის შესწავლის საფუძველზე, მიუთითოს სახელმწიფო ორგანოებს, რომ საექსპერტო-საინსპექტირებო დასკვნების საჭიროების შემთხვევაში, სატენდერო დოკუმენტაციაში ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის ცალსახა მოთხოვნა ეწინააღმდეგება კონკურენციის კანონმდებლობას. ასევე, სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო იყოს დავალდებულებული, რათა განახორციელოს მონიტორინგი ხსენებულ დარღვევებზე (დანართი N1);

2. შპს „ოპტიმალ გრუპ +“-ის განცხადება, სააგენტოს 2015 წლის 9 თებერვლის N02/113 და N02/114 წერილებით, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარმოდგენის მიზნით, გაეგზავნა სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსა და სსიპ - აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრს. ამასთან, ამ უკანასკნელს ეთხოვა, შპს „ოპტიმალ გრუპ +“-ის აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა და ინფორმაციის მოწოდება იმ აკრედიტებულ პირთა შესახებ, რომლებიც ახორციელებენ ინსპექტირებას განცხადებაში მითითებულ სფეროში (დანართი N2, დანართი N3);

3. ზემოაღნიშნულ წერილებთან დაკავშირებით, საპასუხო პოზიცია წარმოდგენილ იქნა სააგენტოში, ერთის მხრივ, სსიპ - აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრის მიერ 2015 წლის 23 თებერვალს (რეგ. N01/134), ხოლო, მეორეს მხრივ, სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ 2015 წლის 26 თებერვალს (რეგ. N01/166) (დანართი N4, დანართი N5);

4. სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის №30/09-1 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის, მე-12 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის №30/09-5 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის, მე-6 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-14 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, სააგენტოს თავმჯდომარის მიერ 2015 წლის 4 მარტს გამოცემული N32 ბრძანების შესაბამისად, კონკურენციის სააგენტოს კონკურენციის დეპარტამენტის უფროსის მოხსენებით ბარათზე (დანართი N6)

დაყრდნობით, დასაშვებად იქნა ცნობილი შპს „ოპტიმალ გრუპ +“-ის განცხადება. ბრძანების საფუძველზე, შეიქმნა შესაბამისი მოკვლევის ჯგუფი და სააგენტომ დაიწყო საქმის მოკვლევა „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის (სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ კონკურენციის შეზღუდვის დაუშვებლობა) შესაძლო დარღვევის ფაქტზე (დანართი N7);

5. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სააგენტოს 2015 წლის 5 მარტის N02/339 წერილით შპს „ოპტიმალ გრუპ +“-ის ეცნობა მოკვლევის დაწყების თაობაზე (დანართი N8);

6. სააგენტოს 2015 წლის 5 მარტის N02/340 წერილით მოკვლევის დაწყების თაობაზე ასევე ეცნობა სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს (დანართი N9);

7. სააგენტოს 2015 წლის 9 მარტის N02/491 წერილით, მოკვლევის ფარგლებში საქმის გარემოებათა დაზუსტების მიზნით, სსიპ - აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრს ეთხოვა საკონსულტაციო ხასიათის შეხვედრაზე წარმომადგენლის დასწრება (დანართი N10). აკრედიტაციის ცენტრმა შეხვედრაში მონაწილეობის მზაობა დაადასტურა სააგენტოში წარმოდგენილი მ/წ. 12 მარტის წერილით (რეგ: N01/480) (დანართი N11), ხოლო შეხვედრა გაიმართა 2015 წლის 16 მარტს;

8. 2015 წლის 16 მარტს გამართულ საკონსულტაციო შეხვედრაზე გამოკვეთილი გარემოებების დაზუსტების მიზნით, სსიპ - აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრს ეთხოვა გარკვეული სახის ინფორმაციის (მათ შორის, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსათვის მინიჭებული აკრედიტაციის შესახებ) სააგენტოსათვის მოწოდება 2015 წლის 17 მარტის N02/673 წერილით (დანართი N14). აღნიშნულ საკითხზე, სსიპ - აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრის მიერ ინფორმაცია/დოკუმენტაცია წარმოდგენილ იქნა მ/წ. 18 მარტის წერილით (რეგ: N01/482; 23.03.2015)(დანართი N15);

9. „საქმის მოკვლევის წესისა და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს 2014 წლის 30 სექტემბრის N30/09-5 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის მე-16, მე-18 და მე-19 მუხლების შესაბამისად, სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წარმომადგენლები მოწვეულ იქნენ ახსნა-განმარტებისათვის, 2015 წლის 13 მარტის N02/640 წერილის შესაბამისად (დანართი N12). ახსნა-განმარტების სხდომა გაიმართა მ/წ. 23 მარტს, 11:00 სთ-ზე, სააგენტოს

ადმინისტრაციულ შენობაში (ინგოროყვას ქ. N7) რასთან დაკავშირებითაც, შედგა სხდომის ოქმი N1 (დანართი N16);

10. 2015 წლის 16 მარტის N02/642 წერილის შესაბამისად (დანართი N13), სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შესაბამისი წარმომადგენლები ახსნა-განმარტებისათვის მოწვეულ იქნენ, როგორც დაინტერესებული მხარე. ახსნა-განმარტების სხდომა გაიმართა მ/წ. 24 მარტს, 16:00 სთ-ზე, სააგენტოს ადმინისტრაციულ შენობაში, რასთან დაკავშირებითაც, შედგა სხდომის ოქმი N2 (დანართი N19);

11. კანონმდებლობით დადგენილი წესის დაცვით, შპს „ოპტიმალ გრუპ +“-ის წარმომადგენელი დაბარებულ იქნა ახსნა-განმარტებისათვის, 2015 წლის 23 მარტის N02/723 წერილის შესაბამისად (დანართი N17); ახსნა-განმარტების სხდომა გაიმართა მ/წ. 27 მარტს, 16:00 სთ-ზე, სააგენტოს ადმინისტრაციულ შენობაში (ინგოროყვას ქ. N7) რასთან დაკავშირებითაც, შედგა სხდომის ოქმი N3 (დანართი N20). ამასთან, ახსნა-განმარტების სხდომაზე გამოთქმული შენიშვნებისა და მოსაზრებების გათვალისწინებით, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ სააგენტოში წამოდგენილ წერილობითი ფორმის ახსნა-განმარტებასთან დაკავშირებით, შპს „ოპტიმალ გრუპ +“-მა მ/წ. 31 მარტის წერილით წარმოადგინა შენიშვნები და მოსაზრებები (რეგ: N01/566; 01.04.2015 წ) (დანართი N27);

12. სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წარმომადგენლის მონაწილეობით გამართულ ახსნა-განმარტების სხდომაზე დაფიქსირებული დამატებითი გარემოებების დაზუსტების მიზნით, სააგენტოს მ/წ. 23 მარტის N02/700 წერილით ეთხოვა სახელმწიფო აუდიტის სამსახურს შესაბამისი უფლებამოსილი პირის სააგენტოში წარმოდგენა საკონსულტაციო ხასიათის შეხვედრის მიზნით (დანართი N18); სამწუხაროდ, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მ/წ. 27 მარტის (რეგ: N01/538) წერილით სააგენტოს ეცნობა უარი სამართლებრივი დახმარების გაწევის თაობაზე, სამართლებრივი დახმარების პირობებისა და ფარგლების დაუზუსტებლობის მოტივით (დანართი N21);

13. 2015 წლის 30 მარტის N02/733 წერილის შესაბამისად (დანართი N22), თიღვის მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენელი სააგენტოში დაბარებულ იქნა ახსნა-განმარტებისათვის. ახსნა-განმარტების სხდომა გაიმართა მ/წ. 6 აპრილს, 12:00 სთ-ზე და შედგა სხდომის ოქმი N4 (დანართი N29);

14. კანონმდებლობით დადგენილი წესის დაცვით, სსიპ - ბათუმის ბულვარის წარმომადგენელი დაბარებულ იქნა ახსნა-განმარტებისათვის, 2015 წლის 30 მარტის N02/734 წერილის შესაბამისად (დანართი N23); ახსნა-განმარტების სხდომა გაიმართა მ/წ. 7 აპრილს, 16:00 სთ-ზე, სააგენტოს

ადმინისტრაციულ შენობაში (ინგოროყვას ქ. N7) რასთან დაკავშირებითაც, შედგა სხდომის ოქმი N5 (დანართი N30);

15. „საქმის მოკვლევის წესისა და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს 2014 წლის 30 სექტემბრის N30/09-5 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის მე-16, მე-18 და მე-19 მუხლების შესაბამისად, სსიპ - აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრის, შპს „ოპტიმალ გრუპ +“-სა და სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს წარმომადგენლები დაბარებულ იქნენ ახსნა-განმარტების სხდომაზე 2015 წლის 31 მარტის N02/749; N02/750 და N02/751 წერილებით (დანართი N24, დანართი N25, დანართი N26) რასთან დაკავშირებითაც, შედგა სხდომის ოქმი N6 (დანართი N31).

16. სააგენტოს 2014 წლის 30 სექტემბრის N30/09-5 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის 22-ე მუხლის შესაბამისად, სააგენტოს 2015 წლის 7 აპრილის N02/786, N02/787 და N02/788 წერილებით სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს, შპს „ოპტიმალ გრუპ +“-ის და სსიპ - აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრის წარმომადგენლები მოწვეულ იქნენ შემაჯამებელ სხდომაზე მ/წ. 20 აპრილს, 17:00 საათზე, სააგენტოს ადმინისტრაციულ შენობაში (დანართი N32, დანართი N33 და დანართი N34). მითითებულ დროს, სააგენტოს ადმინისტრაციულ შენობაში ჩატარდა შემაჯამებელი სხდომა და შედგა შესაბამისი სხდომის ოქმი (დანართი N37).

II. ფაქტობრივი გარემოებები

1. 2015 წლის 4 თებერვალს სსიპ - კონკურენციის სააგენტოში წარმოდგენილი განცხადების შესაბამისად, შპს „ოპტიმალ გრუპ +“ (ს/ნ 404911592) (შემდგომში - განმცხადებელი) მიუთითებს სახელმწიფო ტენდერებში მონაწილე პირთა მხრიდან „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის სავარაუდო დარღვევის ფაქტზე. კერძოდ, განმცხადებლის ინფორმაციით, სამშენებლო სამუშაოების შესყიდვისას, შემსყიდველი ორგანიზაციები სატენდერო დოკუმენტაციაში მოითხოვენ, რომ წარმოდგენილ უნდა იქნეს სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს (შემდგომში - ექსპერტიზის ეროვნული ბიურო) მიერ გაცემული დასკვნა.

2. განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, მაგალითისათვის მითითებულია კონკრეტული შემსყიდველი ორგანიზაციები, რომელთა მიერ გამოცხადებულ ტენდერში, სატენდერო დოკუმენტაციით ცალსახად იყო მოთხოვნილი მხოლოდ ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა, სახელდობრ: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი (სატენდერო განაცხადის NSPA140030745), თიღვის მუნიციპალიტეტის გამგეობა (სატენდერო განაცხადის NSPA150001505), შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“ (სატენდერო განაცხადის NSPA140029400), სსიპ - შემოსავლების სამსახური (სატენდერო განაცხადის NSPA140029317), სსიპ „ბათუმის ბულვარი“ (სატენდერო განაცხადის NSPA140026736). ამასთან, განმცხადებელი ითხოვს სააგენტოს მიერ სსიპ -სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს (შემდგომში - შესყიდვების სააგენტოს) დავალდებულებას კონკურენტული გარემოს შექმნის ხელშეწყობის მოტივით, რათა ამ უკანასკნელის მიერ განხორციელდეს მონიტორინგი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ მოთხოვნათა შესრულების მიზნით, კერძოდ, ღია და ეფექტიანი კონკურენციის უზრუნველსაყოფად.

3. სსიპ - აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრის (შემდგომში - აკრედიტაციის ცენტი) დირექტორის N317 განკარგულების საფუძველზე, განმცხადებელს 2014 წლის 17 დეკემბერს 4 წლის ვადით აქვს მინიჭებული აკრედიტაცია, როგორც ინსპექტირების ორგანოს (მოწმობის NGAC-IB-0033). აკრედიტაციის მოწმობის შესაბამისად, განმცხადებელს ეძლევა შემდეგი სახის ინსპექტირების განხორციელების უფლება:

- ა) საპროექტო ობიექტის ხარჯთაღრიცხვის პროექტთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება;
- ბ) ობიექტზე შესრულებული სამუშაოების (ფორმა N2-ის) შეფასება/ინსპექტირება;
- გ) ობიექტის ან მისი ნაწილის ტექნიკური მდგომარეობის, შესრულებული სამშენებლო, სარემონტო, სამონტაჟო, სადემონტაჟო, სარეკონსტრუქციო, სარესტავრაციო სამუშაოების პროექტთან და მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება;
- დ) ობიექტების სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა - ინსპექტირება;

4. საკითხის განხილვის პროცესში, შესყიდვების სააგენტოს ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით გამოცხადებული ელექტრონული ტენდერების ანალიზის შედეგად დგინდება, რომ განმცხადებლის მიერ აკრედიტაციის მოწმობის მიღებიდან, კერძოდ 2014 წლის 17 დეკემბრიდან 2015 წლის 20 აპრილამდე სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულია სულ 169

ტენდერი, რომელთაგანაც, 47 შემთხვევაში, შემსყიდველის მიერ ცალსახად მოთხოვნილია ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა.

5. აკრედიტაციის ცენტრის განმარტებით, შპს „ოპტიმალ გრუპ +“ წარმოადგენს აღნიშნულ სფეროში აკრედიტაციის მქონე ერთადერთ სუბიექტს და მის მიერ ხდება ინსპექტირების ანგარიშის გაცემა სამუშაოების შეფასების შედეგად. ამასთან, შპს „ოპტიმალ გრუპ +“ წარმოადგენს ინსპექტირების ორგანოს და თავის მხრივ, აღნიშნული სახის ორგანოდ განსაზღვრისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ მეწარმე სუბიექტად დარეგისტრირება.

6. აკრედიტაციის ცენტრის განმარტებით, აკრედიტაცია არის სახელმწიფოს მხრიდან ამა თუ იმ პირის კომპეტენტურობის დადასტურება და აღიარება. აკრედიტაცია არის ნებაყოფლობითი და პირი თავად ირჩევს მიმართავს თუ არა აკრედიტაციის ორგანოს მისი კვალიფიკაციის დადასტურების მოთხოვნით. თუმცა, კანონმდებლობით განსაზღვრულია ცალკეული სფეროები, რომელშიც საქმიანობის განსახორციელებლად პირს აუცილებლად უნდა ჰქონდეს აკრედიტაცია.

7. საქმის მოკვლევის პროცესში მოპოვებული მასალების ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ ექსპერტიზის ეროვნული ბიურო წარმოადგენს კანონით განსაზღვრულ ერთადერთ პირს, რომელსაც აქვს შესაბამისობის შეფასების განხორციელების უფლებამოსილება განმცხადებლის სამოქმედო აკრედიტაციის სფეროში.

8. როგორც აკრედიტაციის ცენტრის მიერ სააგენტოში წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს კანონმდებლობის საფუძველზე ყველა სფეროზე არ აქვს მინიჭებული შესაბამისობის შეფასების უფლებამოსილება და აკრედიტაციის ცენტრის მიერ მათზე გაცემულია აკრედიტაცია სხვადასხვა სფეროში - ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ექსპერტიზის სამმართველო (სამკურნალო საშუალებები, სამკურნალო მცენარეული ნედლეული და სხვ.); კვების პროდუქტების, თამბაქოს ნაწარმის, ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების ექსპერტიზის სამმართველო; ნივთიერებათა, მასალათა და ნაკეთობათა და მცენარეთა ექსპერტიზის სამმართველო; ბალისტიკური, ტრანსოლოგიური და დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის სამმართველო; დოკუმენტების ტექნიკური და ხელწერის ექსპერტიზის სამმართველო; ბიოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტი.

ამასთან, განიხილება ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომდეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრის (დეპარტამენტი) ნორმატიული, ტექნიკური და ექსპერიმენტული კვლევის სამმართველოსა და ნავთობრეპროდუქტების ექსპერტიზის

სამმართველოს ლაბორატორიების სსტ ისო/იეკ 17025 სტანდარტთან შესაბამისობის დადგენისა და მათთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი. ამასთან, მიმდინარეობს წარმოება ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ბიოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტის ლაბორატორიის დამატებითი სფეროში აკრედიტაციის მინიჭებასთან დაკავშირებით;

9. 2015 წლის 23 მარტს სააგენტოში გამართულ ახსნა-განმარტების სხდომაზე შემსყიდვების სააგენტოს წარმომადგენლის მიერ გაკეთებული განმარტებისამებრ - შესყიდვების სააგენტო მხარს უჭერს ბაზარზე ჯანსაღი კონკურენტული გარემოს შექმნის იდეას, თუმცა, სატენდერო დოკუმენტებში დაფიქსირებული მოთხოვნა, კონკრეტულად ერთი პირის მიერ ჩატარებული ექსპერტიზის მოთხოვნის შესახებ, არ წარმოადგენს საკვალიფიკაციო მონაცემს, შესაბამისად, ამ შემთხვევაში, შესყიდვების სააგენტოს სამართლებრივი ბერკეტი შედარებით სუსტია. ამასთან, აღსანიშნავია, ის ფაქტიც, რომ შესყიდვების სააგენტო ვერ დაავალდებულებს შემსყიდველს სატენდერო დოკუმენტაციაში არ ჩადოს რაიმე სახის კონკრეტული მოთხოვნა. ტენდერში მონაწილე პირთა ინტერესების დაცვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მექანიზმს წარმოადგენს დავების განხილვის საბჭო, თუმცა, პრეტენდენტის საჩივრის დაკმაყოფილების შემთხვევაშიც კი, საბჭო ვერ სთხოვს შემსყიდველ ორგანიზაციას შეცვალოს რომელიმე კონკრეტული პირობა, არამედ, შემოიფარგლება ზოგადი ხასიათის მითითებით - რაც გულისხმობს სატენდერო დოკუმენტაციის გადახედვას;

10. როგორც 2015 წლის 24 მარტსა და 8 აპრილს სააგენტოში გამართულ ახსნა-განმარტების სხდომებზე, ასევე, სააგენტოში წერილობითი ფორმით წარმოდგენილ ახსნა-განმარტებაში ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს წარმომადგენლები აღნიშნავენ, განმცხადებლის მოთხოვნა - შემსყიდველი ორგანიზაციების მხრიდან სატენდერო დოკუმენტაციაში ჩადებულ იყოს პირობა - სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ გაცემული დასკვნის მოთხოვნის შესახებ არის უსაფუძვლო შემდეგ გარემოებათა გამო:

ა) ექსპერტიზის ეროვნული ბიურო არ წარმოადგენს ინსპექტირების ორგანოს. იგი არის საექსპერტო დაწესებულება, რომელიც ატარებს ექსპერტიზას და არ აქვს რევიზიის, ინსპექტირების ჩატარების უფლებამოსილება. ინსპექტირების ცნების ქვეშ იგულისხმება შემოწმების, კონტროლის, რევიზიის ჩატარების შესაძლებლობა. ინსპექტირებით, როგორც პროცესით, შესაძლებელია გამოვლენილ იყოს რაიმე მოქმედების შეუსაბამობა, მატერიალური რესურსების ხარჯვის ეკონომიურობა და სხვ., მაშინ როდესაც ექსპერტიზა გულისხმობს საქმის გარემოებების შორის კავშირის ანალიზს. მაგ: მშენებლობის სფეროში ექსპერტიზა არ გულისხმობს პერიოდული

კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელებას სამშენებლო ობიექტებზე, არამედ, ვიზუალურ დათვალიერებას, სამშენებლო მასალის გამოკვლევას. შესაბამისად, ექსპერტიზა და ინსპექტირება წარმოადგენს სხვადასხვა ტერმინს და სხვადასხვა მომსახურებას.

ბ) ექსპერტიზის ეროვნული ბიურო წარმოადგენს საექსპერტო დაწესებულებას, რომელიც შექმნილია „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს შექმნის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე და მისი საქმიანობა რეგულირდება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს N255 დადგენილებისა და სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე. შესაბამისად, კანონმდებლობით განსაზღვრული საქმიანობის ფარგლებში, მას არ ეკისრება აკრედიტაციის გავლის ვალდებულება;

გ) ექსპერტიზის ეროვნული ბიურო საექსპერტო საქმიანობას ახორციელებს საერთაშორისო სტანდარტის ISO:17025-ის დაცვით, რომელიც გულისხმობს საგამოცდო ლაბორატორიული მომსახურების განხორციელების უფლებას და რომელიც შპს „ოპტიმალ გრუპ +“-ს არ გააჩნია. რაც იმას გულისხმობს, რომ ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს საქმიანობა მოიცავს და გადაფარავს განმცხადებლის სამოქმედო სფეროს. უფრო კონკრეტულად, განმცხადებლის სფეროში მის მიერ გაიცემა ინსპექტირების აქტი ან სერტიფიკატი, ხოლო ბიურო გასცემს ექსპერტიზის დასკვნას (ექსპერტიზის დასკვნა მოიცავს ზედამხედველობასაც, განმცხადებლის საქმიანობა კი მხოლოდ ზედამხედველობით შემოიფარგლება).

დ) ექსპერტის დასკვნა წარმოადგენს სამართლებრივად უფრო მაღალი იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტს, რასაც განაპირობებს ექსპერტის მიერ ყალბი დასკვნის შედგენის შემთხვევაში მისი სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების კანონმდებლობით განსაზღვრული პირობები. ამასთან, ექსპერტის დასკვნა არის ერთ-ერთი მტკიცებულება. ექსპერტს ნიშნავს სასამართლო ან სხვა პირი. რაც შეეხება რევიზიის აქტს, რა თქმა უნდა შესაძლებელია გამოყენებულ იყოს მტკიცებულებად, თუმცა, ეს არ იქნება მტკიცებულების ის სახე, როგორცაა ექსპერტის დასკვნა, მას სასამართლო, როგორც წერილობითი სახის მტკიცებულებას, ისე მიიღებს.

11. ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ წარმოდგენილ მოსაზრებებს არ დაეთანხმა განმცხადებელი, როგორც 2015 წლის 24 მარტსა და 8 აპრილს სააგენტოში გამართულ ახსნა-განმარტების სხდომებზე, ასევე, 2015 წლის 31 მარტის წერილით წარმოდგენილ პოზიციაშიც. კერძოდ, მათი განმარტებით:

ა) ISO:17020 სტანდარტის შესაბამისად, სტანდარტი ვრცელდება ინსპექტირების ორგანოს შემდეგ საქმიანობაზე - „დანადგარების, აპარატების, პროცესების, სამუშაო პროცედურების ან მომსახურების შემოწმება (ექსპერტიზა), მათი შესაბამისობის დადგენა მოთხოვნებთან და შემდგომ აღნიშნული საქმიანობის შედეგების მიწოდება დამკვეთისათვის...“. შესაბამისად, ინსპექტირება ეხება ობიექტის სასიცოცხლო ციკლის ნებისმიერ სტადიას, პროექტირების სტადიის ჩათვლით. ზედამხედველობის ინსპექტირების ანგარიში წარმოადგენს პროცესის ინსპექტირების, ხოლო, დანარჩენი სამი - შესრულებული სამუშაოს, ხარჯთაღრიცხვისა და ტექნიკური მდგომარეობის ინსპექტირების ანგარიშები შინაარსობრივად იგივე ექსპერტის დასკვნაა;

ბ) ინსპექტირების ორგანო ახორციელებს ნორმატიულ-ტექნიკურ დოკუმენტაციასთან შესაბამისობის დადგენას, რაც „ტექნიკური რეგლამენტის - განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის პროექტების სავალდებულო ექსპერტიზის ჩატარების დროებითი წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N61 დადგენილების შესაბამისად, წარმოადგენს ექსპერტიზას. შესაბამისად, ინსპექტირების ანგარიში და ექსპერტის დასკვნა შინაარსობრივად ერთი და იგივეა და მათ შორის მხოლოდ ტერმინოლოგიური განსხვავებაა;

გ) ინსპექტირების შედეგების სისწორეზე პასუხს აგებს არა მარტო დასკვნის შემდგენი თანამშრომელი, არამედ, მთლიანად ინსპექტირების ორგანო. ასევე, გააჩნიათ პასუხისმგებლობის დაზღვევაც;

დ) შპს „ოპტიმალ გრუპ +“-ის არ გააჩნია ISO:17025 სტანდარტი, რომელიც აქვს ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს და რომელიც გულისხმობს ლაბორატორიული მომსახურების განხორციელების შესაძლებლობას, თუმცა, შპს „ოპტიმალ გრუპ +“-სა და სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტი“-ს შორის 2014 წლის 15 იანვარს გაფორმებული N14-01-15/11 ხელშეკრულების შესაბამისად, ეს უკანასკნელი, (რომელსაც გააჩნია ISO:17025 სტანდარტი) უწევს შპს „ოპტიმალ გრუპ +“-ის ლაბორატორიულ მომსახურებას. ამრიგად, შემსყიდველისთვის წარდგენილ ინსპექტირების დასკვნაში ლაბორატორიული მომსახურებაც იქნება გათვალისწინებული - სრული პაკეტის შეთავაზებას უზრუნველყოფს შპს „ოპტიმალ გრუპ +“.

12. ექსპერტის დასკვნისა და ინსპექტირების ანგარიშის შინაარსობრივ იდენტურობასთან დაკავშირებული სადავო ფაქტობრივი გარემოება განმარტა აკრედიტაციის ცენტრის წარმომადგენელმა 2015 წლის 8 აპრილს გამართულ ახსნა-განმარტების სხდომაზე. სახელდობრ, მისი შეფასებით - ინსპექტირება არის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება ან პროფესიული მსჯელობის შედეგად დასკვნის გაკეთება (ექსპერტიზა). ინსპექტირების ორგანოს აკრედიტაციას

ანიჭებს სახელმწიფო ორგანო და მას გააჩნია როგორც სისხლისსამართლებრივი, ასევე, სხვა სახის პასუხისმგებლობა, მათ შორის პასუხისმგებლობის დაზღვევაც. ინსპექტირების ორგანო შედგება ექსპერტებისგან და დასკვნის გაცემა ხორციელდება არა ცალკეული პირის, არამედ ინსპექტირების ორგანოს სახელით. ინსპექტირების ორგანოს შესაძლებელია ჰქონდეს ლაბორატორია (ამისათვის დამატებითი სტანდარტის აღებაა საჭირო), ხოლო, შეიძლება არ ჰქონდეს და სხვაგვარად უზრუნველყოს ლაბორატორიული მომსახურების განხორციელება. ამასთან, ტერმინი ინსპექტირება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისია, გამოიყენება ევროკავშირთან დაახლოების მიზნით და შინაარსობრივად უთანაბრდება ექსპერტის დასკვნას. პროექტის ექსპერტიზა შესაძლებელია მიღწეულ იყოს ინსპექტირებით. შესაბამისად, ერთი და იგივე შედეგი დადგება შემსყიდველი ორგანიზაციისთვის ექსპერტის დასკვნისა და ინსპექტირების ანგარიშის მიღების შემთხვევაში.

13. საქმის მოკვლევის პროცესში, განცხადებაში მოყვანილი შემსყიდველი ორგანიზაციების, კერძოდ, სსიპ - ბათუმის ბულვარისა და თიღვის მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენელთა მიერ სააგენტოში გამართულ ახსნა-განმარტების სხდომაზე დაფიქსირებული მოსაზრებების გათვალისწინებით, დგინდება, რომ შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ სატენდერო დოკუმენტაციაში მხოლოდ ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის მოთხოვნა განპირობებულია ამ ორგანოსადმი მაღალი ნდობის ფაქტორით და ინფორმაციის ნაკლებობით, კერძოდ, მათთვის ცნობილი არ იყო შპს „ოპტიმალ გრუპ +“-ის არსებობა. ამასთან, შემსყიდველმა ორგანიზაციებმა გამოთქვეს მზაობა, მიიღონ სხვა შესაბამისი ორგანოს მიერ აკრედიტებული პირის მიერ გაცემული დასკვნა. უფრო მეტიც, სსიპ - ბათუმის ბულვარის წარმომადგენელმა, მ/წ. 7 აპრილს გამართულ სხდომაზე აღნიშნა, რომ მოკვლევის დაწყების თაობაზე სააგენტოსგან ინფორმაციის მიღების შემდგომ გამოცხადებულ ტენდერში, უწყების მიერ აღარ ჩადებულა მოთხოვნა მხოლოდ ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის წარმოდგენის თაობაზე.

14. მ/წ. 20 აპრილს, სააგენტოში გამართულ შემაჯამებელ სხდომაზე, სხდომის თავმჯდომარემ წარმოადგინა განსახილველი საქმის ძირითადი არსი და შეაფასა არსებული მტკიცებულებებით შექმნილი სამართლებრივი მდგომარეობა. ამავე სხდომაზე, დაინტერესებულ მხარეებს მიეცათ საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენის უფლება, მცირე რეპლიკის სახით. მათ ასევე გაეცნოთ სააგენტოს შეფასება - განსახილველ საქმეში კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის დადასტურების შესახებ და შესაბამისი რეკომენდაციების შინაარსი.

III. ნორმატიული რეგულირება

1. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის ძირითად მიზნებს წარმოადგენს: ბაზარზე ეკონომიკური აგენტის თავისუფალი დაშვებისათვის სათანადო პირობების უზრუნველყოფა; ეკონომიკურ აგენტებს შორის კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვის დაუშვებლობა და თანასწორუფლებიანობის პრინციპის დაცვა; სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ ეკონომიკური აგენტისათვის ისეთი ექსკლუზიური უფლებამოსილების მინიჭების დაუშვებლობა, რომელიც იწვევს კონკურენციის არამართლზომიერ შეზღუდვას;

2. აღნიშნული კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ - „ე“ ქვეპუნქტების შესაბამისად, სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ეკრძალებათ:

ბ) ეკონომიკური აგენტისათვის ისეთი საგადასახადო ან სხვა შეღავათების დაწესება, რომლებიც მას კონკურენტებთან (პოტენციურ კონკურენტებთან) შედარებით უპირატესობას ანიჭებს და ზღუდავს კონკურენციას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

გ) ეკონომიკური აგენტის სამეწარმეო საქმიანობისა და დამოუკიდებლობის აკრძალვა, შეჩერება ან/და სხვაგვარად შეფერხება, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

დ) საქონლის წარმოების ან რეალიზაციის მონოპოლიზაციისათვის სახელმწიფო სტრუქტურების შექმნა, ან არსებული სტრუქტურებისათვის ისეთი უფლებამოსილების მინიჭება, რომელიც შეზღუდავს კონკურენციას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

ე) ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც იწვევს ეკონომიკური აგენტისათვის მონოპოლიური მდგომარეობის შექმნას, რაც არსებითად ზღუდავს თავისუფალ ფასწარმოქმნას და კონკურენციას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის თანახმად, კანონის მოთხოვნათა დაცვისა და შესრულების უფლებამოსილების მქონე ორგანოა დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – კონკურენციის სააგენტო.

4. სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ ბაზარზე კონკურენციის დაცვის ხელშეწყობ ფუნქციებს ითვალისწინებს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი, სახელდობრ:

4.1. კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, კანონის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს სახელმწიფო საჭიროებისათვის აუცილებელი საქონლის წარმოების, მომსახურების გაწევისა და სამშენებლო სამუშაოს შესრულების სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარება;

4.2. კანონის მე-13 მუხლის შესაბამისად - მოთხოვნებს, რომლებსაც შესყიდვაში მონაწილეობის მისაღებად უნდა აკმაყოფილებდეს პრეტენდენტთა საკვალიფიკაციო მონაცემები, განსაზღვრავს შემსყიდველი ორგანიზაცია ყოველი კონკრეტული შესყიდვისათვის. საკვალიფიკაციო მონაცემთა შერჩევის წესი დგინდება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით. საკვალიფიკაციო მონაცემებისთვის წაყენებული მოთხოვნები უნდა იყოს სამართლიანი და არადისკრიმინაციული და ხელს უნდა უწყობდეს ჯანსაღი კონკურენციის დამკვიდრებას;

4.3. კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით - შესყიდვის პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო ახორციელებს მონიტორინგს შესყიდვის პროცესში ისეთი პრინციპების დაცვაზე, როგორცაა საჯაროობა, სამართლიანობა და არადისკრიმინაციულობა, დადგენილი პროცედურების ზუსტად შესრულება და ანგარიშგება, ღია და ეფექტიანი კონკურენციის უზრუნველყოფა, რაციონალური და თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობა

5. პრეტენდენტის მიმართ წაყენებული ტექნიკური და საკვალიფიკაციო მოთხოვნები და შესყიდვის ობიექტის აღწერის წესი მოცემულია „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-11 მუხლში. კერძოდ:

შემსყიდველი ორგანიზაცია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უფლებამოსილია განსაზღვროს მოთხოვნები, რომელთაც უნდა აკმაყოფილებდეს შესყიდვის ობიექტი, პრეტენდენტთა ტექნიკური დოკუმენტაცია და საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები;

ტექნიკური მოთხოვნები შეიძლება დაწესებულ იქნეს პრეტენდენტთა პროფესიული კვალიფიკაციის, ფინანსური რესურსების, გამოცდილებისა და რეპუტაციის, ტექნიკური აღჭურვილობისა და სხვა საკითხების მიმართ.

საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის მოთხოვნები შეიძლება დაწესებულ იქნეს პრეტენდენტთა მდგომარეობის/საქმიანობის სამართლებრივ მხარესთან

დაკავშირებით (სარეგისტრაციო მონაცემები, უფლებრივი შეზღუდვები, არსებული ფინანსური და სხვა სახის ვალდებულებები და სხვ.). ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში, კონკრეტული შესყიდვის თავისებურებიდან გამომდინარე, სატენდერო დოკუმენტაცია შესაძლებელია არ შეიცავდეს პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის მოთხოვნას. გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში, პრეტენდენტის მიერ წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების მოთხოვნა ხდება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში და უნდა იყოს დასაბუთებული სატენდერო დოკუმენტაციაში, ხოლო მათი რაოდენობა – შესაძლოდ მინიმალური, კონკრეტული შესყიდვის თავისებურებათა გათვალისწინებით.

შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია შესყიდვის ობიექტის ტექნიკური და ხარისხობრივი მაჩვენებლების აღწერისას გამოყენებული ტექსტური მასალები, ტექნიკური სპეციფიკაციები, გეგმები, ნახაზები, ესკიზები და სხვა მასალები შეუსაბამოს საქართველოში და საერთაშორისო პრაქტიკაში აღიარებულ სტანდარტებს, ტექნიკურ მაჩვენებლებს, ტერმინოლოგიას და პირობით აღნიშვნებს. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიუთითოს შესაბამის გამოყენებულ სტანდარტზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

დაუშვებელია შესყიდვის ობიექტის აღწერილობაში:

ა) მითითებულ იქნეს კონკრეტული სასაქონლო ნიშანი, პატენტი, მოდელი, წარმოშობის წყარო ან მწარმოებელი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არ არსებობს შესყიდვის ობიექტის ზუსტი აღწერის სხვა საშუალებები. ასეთ შემთხვევებში შესყიდვის ობიექტის აღწერისას აუცილებლად უნდა იქნეს გამოყენებული ისეთი ტერმინები, როგორცაა „მსგავსი“, „ეკვივალენტური“ და სხვა;

ბ) გამოყენებულ იქნეს ისეთი მახასიათებლები და ტერმინოლოგია, რომლებიც ორაზროვანია და უშვებს სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას.

6. პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის მე-15 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ექსპერტიზა არის ბაზარზე ზედამხედველობის მიზნით ობიექტის საქართველოს კანონმდებლობითა და ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების პროცესი, რომელიც ხორციელდება ტექნიკური ინსპექტირების, დოკუმენტური კონტროლისა და მშენებლობის სახელმწიფო-ტექნიკური ზედამხედველობის ფორმებით, პროფესიული შეფასების საფუძველზე. ინსპექტირების ფორმებია:

ე.ა) ტექნიკური ინსპექტირება – ინსპექტირების ორგანოს ან სხვა უფლებამოსილი ორგანოს მიერ ობიექტის ადგილზე შემოწმება, რომელიც მოიცავს ასევე ობიექტის ტექნიკურ დოკუმენტებთან შესაბამისობის დადგენას;

ე.ა¹) მშენებლობის სახელმწიფო-ტექნიკური ზედამხედველობა – დამკვეთის მოთხოვნით მშენებლობის პროცესში მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების შესრულების შემოწმება საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, აღნიშნულ საკითხზე სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ე.ბ) დოკუმენტური კონტროლი – საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ ინსპექტირების ორგანოს მიერ განხორციელებული ტექნიკური ინსპექტირების მასალების ანალიზი, შეფასება და სათანადო რეაგირება;

ამავე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტით კი განმარტებულია ინსპექტირების ორგანოს ცნება, კერძოდ, ინსპექტირების ორგანო არის ობიექტის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების განმახორციელებელი დამოუკიდებელი პირი, რომელიც რეგისტრირებულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და აკრედიტებულია საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, აგრეთვე სხვა შესაბამისი უფლებამოსილი ორგანო.

7. პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის VII თავით დადგენილია შესაბამისობის შეფასების პროცედურები, კერძოდ, კოდექსის 87-ე მუხლით განსაზღვრულია, რომ ხსენებული კოდექსის შესაბამისად ხორციელდება შესაბამისობის შეფასების ობიექტის ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება. ამასთან, შესაბამისობის შეფასების სავალდებულობა დგინდება კანონით პირდაპირ განსაზღვრულ შემთხვევაში ან შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტის საფუძველზე, რომლის მიზანია ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, საკუთრებისა და გარემოსათვის ზიანის მიყენების თავიდან აცილება.

ამავე, მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად - რეგულირებული სფეროს გარდა, სხვა სფეროში შესაბამისობის შეფასება ნებაყოფლობითია, მათ შორის, პროდუქტის ბაზარზე განთავსებისათვის და ხორციელდება მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

8. პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის VII თავის მიზნებისთვის, კანონის 88-ე მუხლი ითვალისწინებს ინსპექტირების სპეციალურ ცნებას. კერძოდ, კანონის 88-ე

მუხლის „თ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულია, რომ ინსპექტირება არის პროდუქტის საპროექტო დოკუმენტაციის შემოწმება, პროდუქტის, პროცესის ან მონტაჟის დადგენილ მოთხოვნებთან ან პროფესიული განსჯის საფუძველზე, ზოგად მოთხოვნებთან შესაბამისობის განსაზღვრა. პროცესის ინსპექტირება შეიძლება მოიცავდეს პირის, მოწყობილობის, ტექნოლოგიისა და მეთოდოლოგიის შემოწმებას. ამასთან, ამავე კოდექსის 90-ე მუხლით დადგენილია, რომ რეგულირებულ სფეროში შესაბამისობის შეფასების განხორციელების უფლება აქვს დადგენილი წესით აკრედიტებულ ან სახელმწიფოს მიერ უფლებამოსილ სხვა ორგანოს, ასევე საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული ქვეყნების შესაბამისობის შემფასებელ ორგანოებს, საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

9. პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი ითვალისწინებს ამა თუ იმ ორგანოსათვის აკრედიტაციის მინიჭების საფუძველს. კერძოდ, კოდექსის 96-ე შესაბამისად, აკრედიტაცია არის ოფიციალური საექსპერტო შეფასება, რომლის საფუძველზედაც საჯარო სამართლის იურიდიული პირი – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრი აკრედიტაციის მოწმობის გაცემით ოფიციალურად აღიარებს შესაბამისობის შემფასებელი პირის კომპეტენტურობას შესაბამისობის შეფასების სფეროში განსაზღვრული (სპეციფიკური) საქმიანობის განხორციელებისათვის. აკრედიტაციის ცენტრი არ არის შესაბამისობის შემფასებელი ორგანო. ამასთან, აკრედიტაცია არის ნებაყოფლობითი ხასიათის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კანონით პირდაპირ არის განსაზღვრული აკრედიტაციის სავალდებულოობა. აკრედიტაციის ცენტრი ახორციელებს სხვადასხვა ტიპის ლაბორატორიების, სერტიფიკაციის ორგანოების (მათ შორის, ციფრული ხელმოწერის სერტიფიკატის გამცემი პირების), ინსპექტირების ორგანოების (მათ შორის, ავტოსატრანსპორტო საშუალებების გზისთვის ვარგისობაზე ტესტირების ცენტრების, დაკანონებული გაზომვის საშუალებების დამამოწმებელი პირის) აკრედიტაციას როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ამავე კოდექსის 98-ე მუხლის შესაბამისად კი დადგენილია აკრედიტაციის მოწმობის სამართლებრივი ხასიათი, კერძოდ - აკრედიტაციის მოწმობა არის მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტი. იგი გაიცემა აკრედიტაციის ცენტრის მიერ განსაზღვრული ვადით, რომელიც საერთოა ერთი ტიპის აკრედიტებული პირებისათვის. აკრედიტაციის მოწმობა არის აკრედიტაციის დამადასტურებელი მტკიცებულება.

10. აკრედიტაციის ცენტრი პირის აკრედიტაციას ახორციელებს „აკრედიტაციის სისტემის წესებისა და პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის“ გენერალური

დირექტორის 2012 წლის 31 დეკემბრის N7 ბრძანების შესაბამისად. კერძოდ, წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებული წესების და პროცედურების მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულია ინსპექტირების ორგანოების აკრედიტაციის სქემა (სსტ ისო/იეკ 17020:2010). ხოლო, ამავე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს, ასევე, საგამოცდო და საკალიბრებელი ლაბორატორიების აკრედიტაციის სქემას (სსტ ისო/იეკ 17025:2010).

11. „აკრედიტაციის სისტემის წესებისა და პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის“ გენერალური დირექტორის 2012 წლის 31 დეკემბრის N7 ბრძანებით დამტკიცებული წესის და პროცედურის მე-15 მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შემდეგ, აკრედიტაციის ცენტრი ახორციელებს აკრედიტებული პირების კონტროლს მონიტორინგის გზით. მონიტორინგის მიზანია დაადგინოს აკრედიტებული პირების საქმიანობის შესაბამისობა აკრედიტაციის სქემით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან. მონიტორინგის ფარგლებში:

ა) აკრედიტაციის ცენტრი ახორციელებს აკრედიტებული პირის ყოველწლიურ გეგმიურ მონიტორინგს შეფასების გზით;

ბ) აკრედიტაციის ცენტრი ახორციელებს არაგეგმიურ მონიტორინგს დამატებით სფეროში აკრედიტაციის (სფეროს გაფართოების) მიზნით, აგრეთვე ნორმატიულ აქტებში და აკრედიტაციის კრიტერიუმებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შემთხვევაში, შეფასების გზით;

გ) აკრედიტებული პირები ვალდებული არიან მიაწოდონ აკრედიტაციის ცენტრს ინფორმაცია თავიანთი საქმიანობის შესახებ აკრედიტაციის ცენტრის მოთხოვნისამებრ.

აკრედიტებული პირის ყოველწლიური გეგმიური მონიტორინგის ჩატარების ვადებია აკრედიტაციის მოწმობის გაცემიდან ყოველი ერთი წელი ± 2 თვე.

ადმინისტრაციული, სამოქალაქო ორგანოების ან სხვა პირის მომართვის/საჩივარის საფუძველზე, აკრედიტაციის მოთხოვნების დარღვევის კონკრეტულ შემთხვევაზე აკრედიტაციის მხრიდან ხორციელდება აკრედიტებული პირის ზედამხედველობა. ზედამხედველობა ხორციელდება არგუმენტირებული და გადამოწმებული ინფორმაციის შემთხვევაში.

მონიტორინგი და ზედამხედველობა ხორციელდება საკ 1:2:2012 – „აკრედიტებული პირების საქმიანობის მონიტორინგის და ზედამხედველობის ჩატარების წესი“-ს შესაბამისად.

12. „აკრედიტაციის სისტემის წესებისა და პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის“ გენერალური დირექტორის 2012 წლის 31 დეკემბრის N7 ბრძანებით დამტკიცებულია საკ

1.8:2012 – „წესები და პროცედურები ინსპექტირების ორგანოების სსტ ისო/იეკ 17020:2010-თან შესაბამისობაზე აკრედიტაციისათვის“, რომლის შესაბამისად, ინსპექტირების ორგანოს შეფასების პროცედურებთან ერთად, განსაზღვრულია, რომ ინსპექტირების ორგანოს უნდა გააჩნდეს პასუხისმგებლობის ადეკვატური დაზღვევა (მუხლი 2).

13. სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო წარმოადგენს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შექმნის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს. ბიუროს ძირითადი ამოცანაა სისხლის სამართლის, სამოქალაქო სამართლის ან ადმინისტრაციულ საქმეებზე სასამართლოს, პროკურორის, გამომძიებლის, საქმეში მონაწილე მხარის ან უფლებამოსილი პირის მიერ კანონით დადგენილი წესით, აგრეთვე საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკური და იურიდიული პირების, ადმინისტრაციული ორგანოების მოთხოვნის საფუძველზე მეცნიერების, ტექნიკის ან ხელოვნების დარგში საჭირო გარემოებების დასადგენად სპეციალური გამოკვლევების ჩატარება და შესაბამისი დასკვნების ან ცნობების მომზადება (მუხლი 1. პუნქტი 2);

14. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს N255 დადგენილებით დამკვიცბული დებულების მე-3 მუხლის შესაბამისად, ბიურო უფლებამოსილია ჩაატაროს სხვადასხვა სახის ექსპერტიზა, მათ შორის, საინჟინრო, ფინანსური, ბუღალტრული, ნივთიერებათა, მასალათა ექსპერტიზა. ამასთან, ამავე დადგენილებით განსაზღვრულია ბიუროს სტრუქტურა. კერძოდ, მის ერთ-ერთ სტრუქტურულ ქვედანაყოფს წარმოადგენს კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობისა და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი (დეპარტამენტი), რომლის ამოცანაა სამეცნიერო კვლევების ჩატარება სამშენებლო კონსტრუქციების დეფექტების, შენობა-ნაგებობების რეალური სეისმომედეგობის, მათი ნარჩენი რესურსების, სეისმომედეგობის დეფიციტის დასადგენად; მშენებლობის პროექტების ექსპერტიზების ჩატარება; შენობა-ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობის ექსპერტიზა დეტალური გამოკვლევებით. ისეთი ფაქტორების პროგნოზირება, რომლებიც საფრთხეს უქმნის მათ საიმედოობას სხვადასხვა ტიპის ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საშიში სიტუაციებისას; ახალი ტიპის სეისმომედეგი შენობა-ნაგებობებისა და სამშენებლო კონსტრუქციების სამეცნიერო გამოკვლევა და სხვ., (მუხლი 17);

15. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შექმნის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნათა დაცვით მიღებულია „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომსახურების ტარიფების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 8 მაისის N171 დადგენილება.

16. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის 3¹ პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კანონი არ ვრცელდება შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე.

17. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის 21-ე ნაწილის შესაბამისად ექსპერტი არის სპეციალური ცოდნის, ჩვევებისა და გამოცდილების მქონე ფიზიკური პირი, რომელიც ამ კოდექსით დადგენილი წესით, სისხლის სამართლის საქმეზე საჭირო გამოკვლევის ჩასატარებლად და დასკვნის შესადგენად მიწვეულია მხარის ან მხარის შუამდგომლობით სასამართლოს მიერ. გარდა ამისა, ექსპერტი მხარეებსა და სასამართლოს დახმარებას უწევს მტკიცებულებათა აღმოჩენაში, გამოკვლევასა და დემონსტრირებაში; ამავე კოდექსის 146-ე მუხლის შესაბამისად, საჭირო გამოკვლევის ჩატარების შემდეგ ექსპერტი იძლევა დასკვნას. წერილობით დასკვნას იგი ადასტურებს ხელმოწერით. ამასთან, ექსპერტის დასკვნაში უნდა აღინიშნოს ექსპერტის ვინაობა (სახელი, გვარი, განათლება, სპეციალობა, სპეციალობით მუშაობის სტაჟი, სამეცნიერო ხარისხი და სამეცნიერო წოდება, სამუშაო ადგილი და თანამდებობა), ის, რომ ექსპერტი გააფრთხილეს განზრახ არასწორი დასკვნის მიცემისათვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ, ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი, ვინ ესწრებოდა მას, რა მასალები გამოიყენა, რა საგანი, დოკუმენტი, ნიმუში ან სხვა ობიექტი გამოიკვლია, რა გამოკვლევა ჩატარა და რა მეთოდები გამოიყენა ექსპერტმა, დასაბუთებული პასუხები დასმულ კითხვებზე, ექსპერტის ინიციატივით დადგენილი და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებანი.

18. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსიც ითვალისწინებს ექსპერტიზის ჩატარების პირობებს. ამასთან, კოდექსის 162 - ე მუხლით განსაზღვრულია, რომ თუ საქმის განხილვასთან დაკავშირებულ საკითხზე მოსამართლეს სპეციალური ცოდნა არ გააჩნია, სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით დანიშნოს ექსპერტიზა. ასევე, მხარეებსაც შეუძლიათ სასამართლოსგან დამოუკიდებლად უზრუნველყონ ექსპერტიზის ჩატარება.

19. სამშენებლო სფეროში ექსპერტიზის განხორციელების საკითხები ასევე განსაზღვრულია „ტექნიკური რეგლამენტის - განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის პროექტების სავალდებულო ექსპერტიზის ჩატარების დროებითი წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N61 დადგენილებით. სახელდობრ, დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, „განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის პროექტების, მშენებლობის განხორციელების ეტაპების, არსებული შენობა-ნაგებობების ან/და მათი ნაწილების სავალდებულო ექსპერტიზა არის განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების სავალდებულო ექსპერტიზას დაქვემდებარებული მშენებლობის პროექტების, მშენებლობის განხორციელების ეტაპების, არსებული შენობა-ნაგებობის ან/და მათი ნაწილების ნორმატიულ-ტექნიკურ დოკუმენტაციასთან შესაბამისობის დადგენა და ერთმნიშვნელოვანი დასაბუთებული დადებითი ან უარყოფითი დასკვნის გაცემა;

20. სამშენებლო სფეროში ტექნიკური რეგულირების მიზნით მიღებულია „საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N71 დადგენილება, რომელიც ამტკიცებს სხვადასხვა სახის რეგლამენტებს.

სამოტივაციო ნაწილი

პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის მე-15 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტით განმარტებულია ინსპექტირების ორგანოს ცნება, კერძოდ, ინსპექტირების ორგანო არის ობიექტის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების განმახორციელებელი დამოუკიდებელი პირი, რომელიც რეგისტრირებულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და აკრედიტებულია საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აგრეთვე სხვა შესაბამისი უფლებამოსილი ორგანო.

როგორც საქმის მოკვლევის შედეგად დგინდება, აკრედიტაციის ცენტრის დირექტორის N317 განკარგულების საფუძველზე, განმცხადებელს 2014 წლის 17 დეკემბერს 4 წლის ვადით აქვს მინიჭებული აკრედიტაცია, როგორც ინსპექტირების ორგანოს (მოწმობის NGAC-IB-0033).

აკრედიტაციის მოწმობის შესაბამისად, განმცხადებელს აქვს შემდეგი სახის ინსპექტირების განხორციელების უფლება:

ა) საპროექტო ობიექტის ხარჯთაღრიცხვის პროექტთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება;

ბ) ობიექტზე შესრულებული სამუშაოების (ფორმა N2-ის) შეფასება/ინსპექტირება;

გ) ობიექტის ან მისი ნაწილის ტექნიკური მდგომარეობის, შესრულებული სამშენებლო, სარემონტო, სამონტაჟო, სადემონტაჟო, სარეკონსტრუქციო, სარესტავრაციო სამუშაოების პროექტთან და მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება;

დ) ობიექტების სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა - ინსპექტირება.

ამავდროულად, იგი წარმოადგენს წინამდებარე სფეროში აკრედიტებულ ერთადერთ სუბიექტს.

მეორეს მხრივ, ექსპერტიზის ეროვნული ბიურო წარმოადგენს შეფასების განმახორციელებელ კანონმდებლობით განსაზღვრულ პირს, რომელიც შექმნილია “საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შექმნის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად და მინიჭებული აქვს ექსპერტიზის ჩატარების უფლებამოსილება სხვადასხვა სფეროში, მათ შორის - საინჟინრო, ფინანსური და ბუღალტრული.

საქმის მასალების ანალიზისა და მოკვლევის პროცესში პირთაგან მიღებული ახსნა-განმარტებების შესაბამისად, დადგენილია, რომ შპს „ოპტიმალ გრუპ +“-ის მიღებული აქვს აკრედიტაცია ნებაყოფლობით სფეროში. თუმცა, კანონმდებლის მიერ რეგულირებად სფეროს მიკუთვნებულ საკითხში შეფასების განმახორციელებელ პირად ინსპექტირების ორგანოსა და კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა პირის მიჩნევა, იურიდიულად თანაბარი ძალის მქონე სუბიექტებად აყალიბებს ორივე მხარეს. შესაბამისად, განმცხადებლისა და ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსათვის მათი საქმიანობის განხორციელების უფლების მინიჭების სხვადასხვა მეთოდის მიუხედავად, ორივე პირი წარმოადგენს უფლებამოსილ სუბიექტს.

როგორც განმცხადებელი სააგენტოში წარმოდგენილ განცხადებაში აპელირებდა, სახელმწიფო ტენდერებში მონაწილე პირთა მხრიდან ადგილი ჰქონდა „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის სავარაუდო დარღვევის ფაქტს. კერძოდ, განმცხადებლის ინფორმაციით, სამშენებლო სამუშაოების შესყიდვისას ტენდერში მონაწილე ორგანიზაციები სატენდერო დოკუმენტაციაში ცალსახად უთითებენ, რომ წარმოდგენილ უნდა იქნეს მხოლოდ ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული დასკვნა. ამასთან, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში მითითებულია რამოდენიმე შემსყიდველი ორგანიზაცია, რომელთა მიერ გამოცხადებულ ტენდერში, სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი იყო

მხოლოდ ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა, სახელდობრ: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი (სატენდერო განაცხადის NSPA140030745), თიღვის მუნიციპალიტეტის გამგეობა (სატენდერო განაცხადის NSPA150001505), შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“ (სატენდერო განაცხადის NSPA140029400), სსიპ - შემოსავლების სამსახური (სატენდერო განაცხადის NSPA140029317), სსიპ „ბათუმის ბულვარი“ (სატენდერო განაცხადის NSPA140026736). სააგენტოს მიერ საკითხის შესწავლის პროცესში დადგინდა, რომ ზემოაღნიშნული ორგანიზაციების გარდა, განმცხადებლის მიერ აკრედიტაციის მინიჭების თარიღიდან - კერძოდ, 2014 წლის 17 დეკემბრიდან 2015 წლის 20 აპრილამდე, სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ 169 სახელმწიფო ტენდერში შემსყიდველს 47 შემთხვევაში აქვს მოთხოვნილი მხოლოდ ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა.

მოკვლევის ფარგლებში, სხვადასხვა შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ მიღებული ახსნა-განმარტებების შესაბამისად, დგინდება, რომ შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მოთხოვნის ტენდენცია განპირობებულია ამ უკანასკნელისადმი არსებული მაღალი ნდობის ფაქტორით. ასევე ყურადსაღებია ის გარემოებაც, რომ განმცხადებლის ცნობადობის ხარისხი არ არის მაღალი და შემსყიდველი პირები არ ფლობენ ინფორმაციას შპს „ოპტიმალ გრუპ +“ - ის არსებობის თაობაზე. შესაბამისად, მათი მხრიდან სადავო არ გამხდარა სატენდერო დოკუმენტაციით მხოლოდ ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მოთხოვნის ფაქტი.

აღსანიშნავია, რომ შემსყიდველი ორგანიზაციების ზეპირ ახსნა-განმარტებებში დაფიქსირებული პოზიციის მიუხედავად, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთიან ელექტრონულ სისტემაში განთავსებული დოკუმენტაცია, რომელიც ასახავს 47 სახელმწიფო შესყიდვის დროს ერთი სუბიექტისათვის უპირატესობის მინიჭების ფაქტს, წარმოადგენს მნიშვნელოვან წერილობით მტკიცებულებას სააგენტოს მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევის ფაქტის დასადაგენად.

საქმის მოკვლევის პროცესში, ექსპერტიზის ეროვნული ბიურომ სადავო გახადა განმცხადებლისა და მათი სამოქმედო სფეროს იდენტურობის საკითხი. სახელდობრ, ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს წარმომადგენლები აპელირებდნენ იმ გარემოებაზე, რომ ექსპერტიზა და ინსპექტირება სამართლებრივად და შინაარსობრივად წარმოადგენს სხვადასხვა პროცესს, რაც ასევე გამოხატულია შეფასების განხორციელების შედეგად მათ მიერ გაცემული დოკუმენტაციის სხვადასხვა ხასიათში - ექსპერტიზის შედეგად გაიცემა ექსპერტის დასკვნა, ხოლო, ინსპექტირების დასრულების შემდგომ - ინსპექტირების ანგარიში. შესაბამისად, ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს

შეფასებით, შესაბამისი ბაზარი არის სხვადასხვა და განმცხადებელი არ წარმოადგენს მის კონკურენტს. აღნიშნული ფაქტის დასადასტურებლად, აპელირება განხორციელდა ასევე დასკვნის შედგენის დროს ექსპერტის მიერ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის აღებაზე.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი არ არის ინსპექტირებისა და ექსპერტიზის ერთიანი ცნებები და სხვადასხვა კანონმდებლობაში სპეციალური მიზნით გამოიყენება, მათ შორის არსებული მსგავსება/განსხვავების საილუსტრაციოდ შესაძლოა განხილულ იქნეს „ტექნიკური რეგლამენტის - განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის პროექტების სავალდებულო ექსპერტიზის ჩატარების დროებითი წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N61 დადგენილება. კერძოდ, წინამდებარე დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, „განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის პროექტების, მშენებლობის განხორციელების ეტაპების, არსებული შენობა-ნაგებობების ან/და მათი ნაწილების სავალდებულო ექსპერტიზა არის განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების სავალდებულო ექსპერტიზას დაქვემდებარებული მშენებლობის პროექტების, მშენებლობის განხორციელების ეტაპების, არსებული შენობა-ნაგებობის ან/და მათი ნაწილების ნორმატიულ-ტექნიკურ დოკუმენტაციასთან შესაბამისობის დადგენა და ერთმნიშვნელოვანი დასაბუთებული დადებითი ან უარყოფითი დასკვნის გაცემა. ამასთან, სამშენებლო სფეროში ტექნიკური რეგულირების მიზნით მიღებულია „საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N71 დადგენილება, რომელიც ამტკიცებს სხვადასხვა სახის რეგლამენტებს. შესაბამისად, ზემოხსენებული რეგლამენტებით განსაზღვრული პროცედურული საკითხები არის სწორედ ის ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელსაც იყენებს ინსპექტირების ორგანო შესაბამისობის საკითხებს შესწავლისას.

აკრედიტაციის ცენტრის შეფასებით - ინსპექტირება არის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება ან პროფესიული მსჯელობის შედეგად დასკვნის გაკეთება (ექსპერტიზა). ინსპექტირების ორგანოს აკრედიტაციას ანიჭებს სახელმწიფო ორგანო და მას გააჩნია როგორც სისხლისსამართლებრივი, ასევე, სხვა სახის პასუხისმგებლობა, მათ შორის პასუხისმგებლობის დაზღვევაც. ამასთან, ტერმინი ინსპექტირება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისია, გამოიყენება ევროკავშირთან დაახლოვების მიზნით და შინაარსობრივად უთანაბრდება ექსპერტის დასკვნას. პროექტის ექსპერტიზა შესაძლებელია მიღწეულ იყოს ინსპექტირებით. შესაბამისად,

ერთი და იგივე შედეგი დადგება შემსყიდველი ორგანიზაციისთვის ექსპერტის დასკვნისა და ინსპექტირების ანგარიშის მიღების შემთხვევაში.

შესაბამისი ბაზრის განსაზღვრის თვალსაზრისით, ასევე ყურადსაღებ გარემოებას წარმოადგენს ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსა და განმცხადებლის მიერ მიღებული სტანდარტების შინაარსობრივი ანალიზი. სახელდობრ, სამხარაულის ბიურო საექსპერტო საქმიანობას ახორციელებს საერთაშორისო სტანდარტის ISO:17025-ის დაცვით - რაც გულისხმობს საგამოცდო - ლაბორატორიული საქმიანობის განხორციელების უფლებას. ხოლო, განმცხადებელი მოქმედებს ISO:17020-ის ფარგლებში.

წინამდებარე ფაქტობრივი გარემოება სააგენტოს მიერ მიჩნეულ იქნებოდა მნიშვნელოვან მტკიცებულებად, იმისათვის რომ დადგენილიყო სუბიექტთა სხვადასხვა ბაზარზე მოქმედების ფაქტი, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ შეფასების განხორციელების შედეგად შემსყიდველი ორგანიზაცია განმცხადებლისა და ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსაგან სხვადასხვა მომსახურების პაკეტს მიიღებდა, რაც არ დადასტურებულა მოკვლევის ფარგლებში.

ფაქტობრივი გარემოებების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ შპს „ოპტიმალ გრუპ +“-სა და სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტი“-ს შორის 2014 წლის 15 იანვარს გაფორმებული N14-01-15/11 ხელშეკრულების შესაბამისად, ეს უკანასკნელი (რომელსაც გააჩნია ISO:17025 სტანდარტი) უწევს შპს „ოპტიმალ გრუპ +“-ის ლაბორატორიულ მომსახურებას. თავის მხრივ, ლაბორატორიული მომსახურება წარმოადგენს შესაბამისობის შეფასების პროცესში განსახორციელებელ ერთ-ერთ შუალედურ მომსახურებას, რომელიც შესაძლოა არ იქნეს გამოყენებული ყველა საკითხის შესწავლის დროს და რომლის არსებობა/არარსებობა არ ცვლის ექსპერტის დასკვნისა და ინსპექტირების ანგარიშის სამართლებრივ ბუნებას. ასევე, საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ ISO:17020 სტანდარტი გულისხმობს „ინსპექტირების ორგანოს დანადგარების, აპარატების, პროცესების, სამუშაო პროცედურების ან მომსახურების შემოწმებას (ექსპერტიზა), მათი შესაბამისობის დადგენილ მოთხოვნებთან და შემდგომ აღნიშნული საქმიანობის შედეგების მიწოდებას დამკვეთისათვის...“. შესაბამისად, ინსპექტირება ეხება ობიექტის სასიცოცხლო ციკლის ნებისმიერ სტადიას, პროექტირების სტადიის ჩათვლით. შესრულებული სამუშაოს, ხარჯთაღრიცხვისა და ტექნიკური მდგომარეობის ინსპექტირების ანგარიშები შინაარსობრივად იგივე ექსპერტის დასკვნაა (ზედამხედველობის ინსპექტირების ანგარიშში წარმოადგენს პროცესის ინსპექტირებას, რისი განხორციელების უფლებაც ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს არ გააჩნია). შესაბამისად, შემსყიდველი ორგანიზაციებისათვის ამ ორი პირის მიერ შინაარსობრივად ერთნაირი დოკუმენტის

წარდგენის უფლებამოსილება მათ ერთი ბაზრის მონაწილე სუბიექტებად (კონკურენტებად) აყალიბებს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებისათვის. მოკვლევის მიმდინარეობისას, დაინტერესებულ მხარეთა მიერ ჩამოყალიბებული პოზიციების გათვალისწინებით, ასევე არ გამოიკვეთა მნიშვნელოვანი სხვაობა განმცხადებლისა და ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ განხორციელებულ სამუშაოთა მეთოდებში, მოცულობასა და შინაარსში, რაც, სავარაუდოდ, ამ ორი სუბიექტის სხვადასხვა ბაზრის მონაწილე სუბიექტად მიჩნევის საფუძველი გახდებოდა.

ყურადსაღებია ის გარემოება, რომ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო წარმოადგენს შესყიდვების კანონმდებლობის აღმასრულებელ სუბიექტს და მას ევალება მონიტორინგის განხორციელება ისეთი პრინციპების დაცვაზე, როგორცაა საჯაროობა, სამართლიანობა და არადისკრიმინაციულობა, დადგენილი პროცედურების ზუსტად შესრულება და ანგარიშგება, ღია და ეფექტიანი კონკურენციის უზრუნველყოფა. ამასთან, პირთა დაცვის ერთ-ერთ უნიშვნელოვან სამართლებრივ ბერკეტს წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს არსებობა, რომელიც განიხილავს ეკონომიკურ აგენტთა საჩივრებს და „სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 27 თებერვლის N1 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-9 მუხლის შესაბამისად, უფლებამოსილია:

ა) მიუთითოს შემსყიდველ ორგანიზაციას მის არასწორ გადაწყვეტილებაზე/ქმედებაზე და მოსთხოვოს შესყიდვის პროცედურების კანონმდებლობის დაცვით განხორციელება;

ბ) მოსთხოვოს შემსყიდველ ორგანიზაციას მიღებული გადაწყვეტილებების/ქმედების გადასინჯვა ან გაუქმება;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ორგანოების წინაშე დააყენოს შესყიდვის მონაწილეთა პასუხისმგებლობის საკითხი.

შესაბამისად, შესყიდვების კანონმდებლობით ცალსახად განსაზღვრული არ არის შესყიდვების სააგენტოს მიერ მის ხელთარსებული ბერკეტებით განცხადებაში მოყვანილი კანონდარღვევის აღმოფხვრის ზუსტი მეთოდი, რომელიც შემსყიდველი ორგანიზაციების იმპერატიულ დავალდებულებას გამოიწვევდა.

კონკურენციის სააგენტოს შეფასება

კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის №30/09-3 ბრძანებით დამტკიცებული „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, „მუშაობის პროცესში სააგენტო ეყრდნობა ინკვიზიციურობის პრინციპს და საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, ასევე, იკვლევს ბაზრის იმ სეგმენტებს ან ისეთ დეტალებს, რომელიც შესაძლოა არ იყოს მოთხოვნილი დაინტერესებული პირის შესაბამისი განაცხადით, ან პირდაპირ და უშუალო კავშირში არ არის უკვე არსებულ მოცემულობებთან.“ აღნიშნულის გათვალისწინებით, სააგენტომ განსახილველი ქმედება შეაფასა „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ყველა ნორმასთან მიმართებით, რომლის დარღვევის ნიშნებიც ჩანდა ამ ქმედებაში.

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ - „ე“ ქვეპუნქტების შესაბამისად, სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ეკრძალებათ:

გ) ეკონომიკური აგენტის სამეწარმეო საქმიანობისა და დამოუკიდებლობის აკრძალვა, შეჩერება ან/და სხვაგვარად შეფერხება, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

დ) საქონლის წარმოების ან რეალიზაციის მონოპოლიზაციისათვის სახელმწიფო სტრუქტურების შექმნა, ან არსებული სტრუქტურებისათვის ისეთი უფლებამოსილების მინიჭება, რომელიც შეზღუდავს კონკურენციას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

ე) ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც იწვევს ეკონომიკური აგენტისათვის მონოპოლიური მდგომარეობის შექმნას, რაც არსებითად ზღუდავს თავისუფალ ფასწარმოქმნას და კონკურენციას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

განმცხადებელს 2014 წლის 17 დეკემბერს 4 წლის ვადით აქვს მინიჭებული აკრედიტაცია, როგორც ინსპექტირების ორგანოს და საქმიანობას ახორციელებს საერთაშორისო სტანდარტის ISO:17020-ის დაცვით.

პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი ითვალისწინებს ამა თუ იმ ორგანოსათვის აკრედიტაციის მინიჭების საფუძვლებს. კერძოდ, კოდექსის 96-ე შესაბამისად,

აკრედიტაცია არის ოფიციალური საექსპერტო შეფასება, რომლის საფუძველზედაც საჯარო სამართლის იურიდიული პირი - აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი აკრედიტაციის მოწმობის გაცემით ოფიციალურად აღიარებს შესაბამისობის შემფასებელი პირის კომპეტენტურობას შესაბამისობის შეფასების სფეროში განსაზღვრული (სპეციფიკური) საქმიანობის განხორციელებისათვის. შესაბამისად, განმცხადებელს აკრედიტაციის ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მინიჭებული აკრედიტაცია და მასზე გაცემული აკრედიტაციის მოწმობა ადასტურებს სახელმწიფოს მხრიდან მისდამი მაღალი ნდობის გამოხატვის ფაქტს.

პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსისა და „აკრედიტაციის სისტემის წესებისა და პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრის“ გენერალური დირექტორის 2012 წლის 31 დეკემბრის N7 ბრძანების შესაბამისად, სახელმწიფო, რომელიც წარმოდგენილია აკრედიტაციის ცენტრის სახით, ახორციელებს მონიტორინგს, რათა სუბიექტისადმი თავდაპირველად გამოხატული ნდობის განმსაზღვრელი ფაქტორი - კომპეტენტურობა - მუდმივად დაცული იყოს აკრედიტებული პირის საქმიანობაში. აღნიშნული მიზნის მისაღწევად ხორციელდება წლიური გეგმიური შემოწმება, ინსპექტირების ორგანო მუდმივად წარუდგენს ანგარიშს აკრედიტაციის ორგანოს და სხვ., შესაბამისად, სახელმწიფოს მხრიდან კანონმდებლობით განსაზღვრულია ის სამართლებრივი მექანიზმები, რომელთა შესაბამისადაც ხორციელდება კონტროლი, რათა გარკვეული უფლებით აღჭურვილმა ინსპექტირების ორგანომ ბოროტად არ გამოიყენოს მისი უფლება და ზიანი არ მოუტანოს საზოგადოებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე აღსანიშნავია, რომ ინსპექტირების ორგანო სახელმწიფოს მიერ შესაბამის ბაზარზე სამოქმედოდ დაშვებული სუბიექტია, რომლის საქმიანობის შეზღუდვაც შესაძლებელია მხოლოდ კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში. ხაზგასასმელია, რომ ინსპექტირების ორგანოს, აკრედიტაციის გარეშე აქვს სამეწარმეოს საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილება, თუმცა, აკრედიტაცია წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ მისი აღიარების მექანიზმს და ამ უკანასკნელის მიერ ხდება პასუხისმგებლობის აღება მეწარმის კვალიფიციურობის ხაზგასასმელად.

ყურადსაღებია ის გარემოება, რომ თითოეული პირს შეუძლია ნების თავისუფალი გამოხატვის უფლების გამოყენების გზით, სახელშეკრულებო ურთიერთობა დაამყაროს მისთვის მისაღებ სუბიექტთან. თუმცა, სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობა აღნიშნულ უფლებას გარკვეულ

ჩარჩოში აქცევს და ავალდებულებს შემსყიდველ ორგანიზაციებს, მათ მიერ ამა თუ იმ კონტრაქტის არჩევა მოხდეს თანაბარ კონკურენტულ გარემოში, ობიექტურად. კერძოდ, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ დადგენილ მოთხოვნებთან მეწარმის შესაბამისობის ფაქტი ხდება ხელშეკრულების დადების გარანტი. თუმცა, სააგენტოს მიერ ფაქტობრივი გარემოების შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ შემსყიდველი ორგანიზაციები ითხოვენ არა კონკრეტულ სუბიექტთან ხელშეკრულების გაფორმებას, არამედ ავალდებულებენ ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, მხოლოდ ერთ სუბიექტთან იქონიონ სახელშეკრულებო ურთიერთობა. შესაბამისად, პრეტენდენტსა და ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს შორის არსებული ურთიერთობა სცილდება სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობას და ექცევა სამოქალაქო კოდექსის ფარგლებში.

შეფასება კანონის მე-10 მუხლის „გ“ ქვეპუნქტთან მიმართებით:

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ეკრძალებათ - ეკონომიკური აგენტის სამეწარმეო საქმიანობისა და დამოუკიდებლობის აკრძალვა, შეჩერება ან/და სხვაგვარად შეფერხება, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

სააგენტომ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ აღნიშნული ნორმა კუმულაციური ხასიათისაა და ერთდროულად გულისხმობს პირის სამეწარმეო საქმიანობისა და დამოუკიდებლობის აკრძალვას, შეჩერებას ან სხვაგვარად შეფერხებას. შესაბამისად, ამ ნორმით გათვალისწინებულ დარღვევას ადგილი ექნება ისეთ შემთხვევაში, როდესაც ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება იწვევს როგორც სამეწარმეო საქმიანობის, ასევე დამოუკიდებლობის შეზღუდვას. ამავდროულად, ნორმა ეხება ეკონომიკური აგენტის სამეწარმეო საქმიანობისა და დამოუკიდებლობას - ზოგადად და არა შესაბამის კონკრეტულ ბაზარზე.

განსახილველ შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაციების მხრიდან მიმწოდებლებისგან კონკრეტული ორგანიზაციის დასკვნის მოთხოვნით არ მომხდარა შპს „ოპტიმალ გრუპ“-ის სამეწარმეო დამოუკიდებლობის ქვეშ მოაზრებული უფლებების ხელყოფა. გარდა ამისა, არ აკრძალულა, ან შეჩერებულა მისი სამეწარმეო საქმიანობა.

რაც შეეხება სამეწარმეო საქმიანობის „სხვაგვარ შეფერხებას“, სააგენტოს შეფასებით, ეს სიტყვები უნდა განიმარტოს, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს სხვა ისეთი მოქმედება (გარდა

პირდაპირი აკრძალვისა და შეზღუდვისა), რომელიც საშუალებას არ აძლევს ეკონომიკურ აგენტს, გააგრძელოს სამეწარმეო საქმიანობა დამოუკიდებლად. სააგენტოს შეფასებით, შემსყიდველი ორგანიზაციების მხრიდან ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის მოთხოვნით არ მომხდარა შპს „ოპტიმალ გრუპ“-ის სამეწარმეო საქმიანობისა და დამოუკიდებლობის არც „სხვაგვარი შეფერხება“, რასაც არც თავად შპს „ოპტიმალ გრუპ“-ს ხდის სადავოდ.

შეფასება კანონის მე-10 მუხლის „დ“ ქვეპუნქტთან მიმართებით:

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ეკრძალებათ - საქონლის წარმოების ან რეალიზაციის მონოპოლიზაციისათვის სახელმწიფო სტრუქტურების შექმნა, ან არსებული სტრუქტურებისათვის ისეთი უფლებამოსილების მინიჭება, რომელიც შეზღუდავს კონკურენციას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

შპს „ოპტიმალ გრუპ“-ს სააგენტოში წარმოდგენილ განცხადებაში შემსყიდველი ორგანიზაციების ქმედებას მიიჩნევს სწორედ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის დარღვევად.

მიუხედავად აღნიშნულისა, სააგენტოს შეფასებით, ადგილი არ აქვს კანონის მე-10 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის დარღვევის ფაქტს, რადგან შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ პრეტენდენტთა დავალდებულება - შეისყიდონ ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომსახურება - არ ექცევა ხსენებული პუნქტის შემადგელობაში, შემდეგ გარემოებათა გამო:

სააგენტოს განმარტებით, აღნიშნული ნორმა გულისხმობს სახელმწიფო სტრუქტურის შექმნას, ან არსებული სტრუქტურისთვის რაიმე დამატებითი უფლებამოსილების მინიჭებას. განსახილველ შემთხვევაში კი ადგილი არ ჰქონია არც პირველ (ექსპერტიზის ეროვნული ბიურო შეიქმნა უფრო ადრე, ვიდრე შპს „ოპტიმალ გრუპ“-ს მიენიჭებოდა აკრედიტაცია) და არც მეორე გარემოებას. შემსყიდველი ორგანიზაციების მხრიდან კონკრეტული ორგანიზაციის მიერ გაცემული დაკვნის მოთხოვნა თავისთავად არ გულისხმობს ამ ორგანიზაციისათვის რაიმე უფლებამოსილების მინიჭებას.

სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების და თვითმმართველობის ორგანოთა მიერ განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვებში სატენდერო

დოკუმენტაციით უშუალოდ ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსათვის რაიმე განსაკუთრებული სახის უფლებამოსილების მინიჭება არ ხორციელდება, რომელიც მას, როგორც ექსპერტიზის განმახორციელებელ ორგანოს, დამატებით აღჭურავს ისეთი უფლებებით, რომელიც კონკურენტებთან შედარებით უპირატეს მდგომარეობაში ჩააყენებს. უფრო კონკრეტულად, ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ფუნქციების გაზრდა არ ხდება შემსყიდველი ორგანიზაციების გადაწყვეტილების შედეგად. შესაბამისად, ვინაიდან სახეზე არ გვაქვს დამატებითი უფლებამოსილების მინიჭების ფაქტი, შეუძლებელია, სააგენტომ განიხილოს მისი გავლენა კონკურენციაზე, ვინაიდან ნორმის დისპოზიცია, გარდა უფლებამოსილების მინიჭებისა, ასეთი უფლებამოსილების მინიჭების საშუალებით კონკურენციის შეზღუდვასაც მოიცავს.

შეფასება კანონის მე-10 მუხლის „ე“ ქვეპუნქტთან მიმართებით:

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ეკრძალებათ - ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც იწვევს ეკონომიკური აგენტისათვის მონოპოლიური მდგომარეობის შექმნას, რაც არსებითად ზღუდავს თავისუფალ ფასწარმოქმნას და კონკურენციას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

სააგენტოს შეფასებით, შემსყიდველი ორგანიზაციების ქმედება იწვევს ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსათვის მონოპოლიური მდგომარეობის შექმნას საპროექტო/სამშენებლო/საინჟინრო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის გზით მიღებისას შესაბამისობის შეფასების მომსახურების ბაზარზე. სააგენტოს განმარტებით, ყოველი ტენდერის ჩატარების დროს, ზემოთ აღნიშნულ სფეროში იქმნება ცალკე ბაზარი, რომელზეც შესვლა შეუძლია მხოლოდ ერთ სუბიექტს, კერძოდ, ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს. შესაბამისად, თითოეულ იმ შემთხვევაში, როდესაც შემსყიდველი ორგანიზაცია მიუთითებს, რომ სჭირდება ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული დასკვნა, ადგილი აქვს მონოპოლიზაციის ფაქტს, რასაც შემდგომ, ზოგადად ამ მომსახურების გაწევის ბაზარზე აქვს კონკურენციის არსებითი შეზღუდვის ეფექტი. რაც შეეხება ფასწარმოქმნას, მისი შეზღუდვაც თანმდევია კონკურენციის შეზღუდვისა, კერძოდ ზემოთ აღწერილ შემთხვევებში, რჩება მხოლოდ ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ შეთავაზებული ფასი, რომელიც კანონმდებლობითაა რეგულირებული.

თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ დარღვევა გამოწვეულია შემსყიდველი ორგანიზაციების გაუფრთხილებელი ქმედების შედეგად, რადგან განმცხადებელი წარმოადგენს ბაზრის მონაწილე ახალ სუბიექტს და მისი ცნობადობის ხარისხი არის დაბალი.

მიუხედავად აღნიშნულისა, ცალსახაა, რომ სააგენტო ვერ დაავალდებულებს შემსყიდველ ორგანიზაციებს, სამშენებლო სამუშაოების შესაფასებლად მიიღონ ბაზარზე მოქმედი ყველა სუბიექტის დასკვნა, რადგან ეკომონიკური აგენტებისათვის კონკურენტული გარემოს შექმნის უზრუნველსაყოფად სააგენტოს მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ არ უნდა დააყენოს საფრთხის ქვეშ შემსყიდველი ორგანიზაციების კანონიერი ინტერესები და არ უნდა შეაფერხოს მათი საქმიანობა. შესაბამისად, ორივე მხარის ინტერესების დაცვის თვალსაზრისით, შემსყიდველმა ორგანიზაციებმა შესაძლებელია მოითხოვონ პრეტენდენტებისაგან ისეთი სუბიექტების მიერ გაცემული დასკვნის წარმოდგენა, რომელთა კომპეტენტურობა დადასტურებული და აღიარებულია - ერთის მხრივ აკრედიტაციით, ხოლო, მეორეს მხრივ საქართველოს კანონმდებლობით.

ზემოაღნიშნული მსჯელობის გათვალისწინებით, სააგენტომ დაადგინა, რომ საპროექტო/სამშენებლო/საინჟინრო სამუშაოების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერებში მხოლოდ ერთი კონკრეტული პირის მიერ შედგენილი შესაბამისობის დოკუმენტის წარმოდგენის მოთხოვნით, შემსყიდველი ორგანიზაციების - სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მხრიდან ადგილი აქვს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის დარღვევის ფაქტს.

აღსანიშნავია, რომ სააგენტოს უმთავრეს მიზანს წარმოადგენს - მიღებული გადაწყვეტილებით მომავალში მოახდინოს მსგავსი დარღვევების პრევენცია და ბაზარზე თავისუფალი, ჯანსაღი კონკურენციის დამკვიდრება.

სარეზოლუციო ნაწილი

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის, 17¹ მუხლის მე-4 პუნქტის, მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების, 25-ე მუხლის პირველი პუნქტისა და „საქმის მოკვლევის წესისა და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ სსიპ კონკურენციის

სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის N30/09-5 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის 23-ე მუხლის შესაბამისად, სააგენტომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. განხილულ შემთხვევაში, დადგინდეს სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის დარღვევის ფაქტი.

2. სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე შემსყიდველმა ორგანიზაციებმა საპროექტო/სამშენებლო/საინჟინრო სამუშაოების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერებში, სატენდერო დოკუმენტაციაში დაფიქსირებული მოთხოვნა ჩამოაყალიბონ შემდეგი ფორმულირებით: „სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო ან სხვა აკრედიტებული პირი“ ან სხვა იმგვარი ფორმით, რომელიც გამორიცხავს პრეტენდენტთა მიერ მხოლოდ ერთი კონკრეტული პირის მიერ გაცემული დასკვნის შეთავაზების მოთხოვნას.

3. სააგენტოს გადაწყვეტილება ეცნობოს 2014 წლის 17 დეკემბრიდან 2015 წლის 20 აპრილამდე სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, რომელთა მიერ სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით წარდგენილ სატენდერო წინადადებაში დაფიქსირებული მოთხოვნა იწვევს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის დარღვევას.

4. სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ეთხოვოთ, რომ განახორციელონ კანონით ნებადართული ღონისძიებები, რათა სააგენტოს გადაწყვეტილების აღსრულება უზრუნველყონ ასევე მათ მიერ დაფუძნებულმა კერძო სამართლის იურიდიულმა პირებმაც, რომლებიც ხელმძღვანელობენ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

5. კანონდარღვევის სისტემური და მასშტაბური ხასიათის გათვალისწინებით, შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტებისათვის თანაბარი კონკურენტული გარემოს შექმნის მიზნით, სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ უზრუნველყოს სააგენტოს გადაწყვეტილების

თაობაზე შემსყიდველი ორგანიზაციების ინფორმირება და აღნიშნულის თაობაზე სააგენტოსათვის ინფორმაციის მიწოდება.

6. საქართველოს მთავრობას წარედგინოს რეკომენდაცია შესაბამის ბაზარზე თანაბარკონკურენტული გარემოს დამკვიდრებისათვის გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ.

რეკომენდაცია:

აღსანიშნავია, რომ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შექმნის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნათა დაცვით მიღებულია „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომსახურების ტარიფების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 8 მაისის N171 დადგენილება, რომელიც ადგენს ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გასაწევი მომსახურების ტარიფებს, მაშინ როდესაც ბაზარზე მოქმედი სხვა ინსპექტირების ორგანოები არ მოქმედებენ რეგულირებულ სფეროში და მათი ტარიფები არ არის დადგენილი. შესაბამისად, ამ უკანაკნელთა მიერ ფასების განსაზღვრა ხდება ბაზრის ანალიზის საფუძველზე და შესაძლებლობა გააჩნიათ, მომხმარებელს ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან შედარებით, გაცილებით დაბალ ფასად გაუწიონ მომსახურება.

კონკურენციის სააგენტოს მიზანს წარმოადგენს ბაზარზე კონკურენტული გარემოს შექმნის უზრუნველყოფა. შესაბამისად, კონკრეტულ სასაქონლო ბაზარზე მოქმედ სუბიექტებს უნდა ჰქონდეთ ბაზარზე თანაბარი მოქმედების საშუალება, აღნიშნული კი მიიღწევა იმ შემთხვევაში, თუ მოხდება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომსახურების ტარიფების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 8 მაისის N171 დადგენილების გადახედვა, რათა მოიხსნას საპროექტო/სამშენებლო/საინჟინრო ექსპერტიზის განხორციელებისათვის დადგენილი მინიმალური (ქვედა) სატარიფო ზღვარი და ფიქსირებული ტარიფები, რაც საშუალებას მისცემს ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს, ჯანსაღი კონკურენცია გაუწიოს ბაზრის მონაწილე სხვა სუბიექტებს.